






დასწერეს არქილთან წერილი რამდენჯერმე, მაგრამ გამგეს ვერ მოაწონეს. ბოლოს, როგორც იქნა წერილი შეადგინეს, გამგემ ხელი მოაწერა და გაგზავნეს.

„თქვენო მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობავ, — ეწერა წერილში. — ესთვლი ჩემს მძიმე მოვალეობად მოგახსენოთ, რომ მერვე ტიმოშკინის ამხანაგობის (სტრასტიტერპინის მაზრის,



ოლღა ბატონიშვილი (გრუშინსკაია).  
გარდაიცვალა მოსკოვში 1913 წ. 19 ივნისს.

ვოლნომისლენის თემის, სოფელ ტიმოშკისა) საოჯახო სიების გადასინჯვის დროს აღმოვაჩინე, რომ ამ ამხანაგობის ერთს წევრთაგანს სახელად ჰქვიან „კაენი“. ეს იყო ცხადი მიზეზი იმისა, რომ შეუძლებლად ვსცანი ხსენებულ ამხანაგობისათვის სესხი მიგვეცა და ნასყიდობის ქალაღლიც, მაშასადამე, შეგვედგინა. ვაცნობებ რა ამას თქვენს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას, გთხოვთ შესაფერისი განმარტება მაცნობოთ“.

დ-ის განყოფილების ქალაღლი არქიელს მეორე დღეს ჩაუვარდა ხელში სხვა წერილებთან ერთად. ყოვლადსამღვდელომ ეს ქალაღლი რამდენჯერმე წაიკითხა და, თუმცა მშვიდი ხასიათის კაცი იყო, ისე აღელდა, რომ არ იცოდა რა ექნა. მან სწრაფად დააწკარუნა ზარი და უბძანა დაეძახნათ მამა ნიკოდიმე ბოლოიაველენსკისათვის, რომელიც კერძოდ მის მიწერ-მოწერას აწარმოებდა.

შემოვიდა სქელი, ბობოხა მღვდელი, არქიელს შორიდანვე თავი დაუკრა და ხელზე სამთხვევად მივიდა.

არქიელმა მამა ნიკოდიმე აკურთხა.

— დახე, რას მოვესწართ, — უთხრა მან ხმის კანკალით მამა ნიკოდიმეს და ქალაღლი გაუწოდა. — წაიკითხე და განიხარე. სულ იმას ვამბობდი, აქაური მამანი თავის სამწყსოზე კი არა ზრუნავენ, მიწიერ სიამოვნებებზე ფიქრობენ მეთქი. მერე რა მოსდევს ამას? სხვა ჯურა, ერეტიკოსი, ვიღაცა გერმანელი მე, მართლმადიდებელ არქიელს, უთაურობას მაბრალებს და განმარტებასაცა მთხოვს.

— იყავ ნება უფლისა, — ბოხი ხმით გააგრძელა მამა ნიკოდიმემ. — მეუფეო, თქვენ ინებეთ ყურადღება მიგვეციათ, რომ იმ გერმანელს გამოშვებია და იმ კაენის გვარი არ მოუხსენებია?

— შეუძლებელი! — სიხარულით წამოიძახა არქიელმა.

— ქეშმარიტებასა გაუწყებთ, მტკიცე ქეშმარიტებასა, — მიუგო მამა ნიკოდიმემ და ქალაღლი გაუწოდა. — ის გერმანელი მთავრობის მიერ დანიშნული კაცია და ჩვენ ზრდილობიანად გავცემთ პასუხს.

— გამგეს მიეცეს პასუხი, „კაენის“ საქმეზე კი დანიშნოს გამოძიება და ტიმოშკინის მღვდელი უთაურობისათვის გადაყვანილ იქმნას ნაკლებ შემოსავლიან ადგილზე. — დადგინა არქიელმა.

„თქვენო აღმატებულებავ, მოწყალეო ხელმწიფე ოსკარ ჰენრიხის ძევი! — სწერდნენ ბანკის განყოფილების გამგეს. — 15 მაისს თქვენ მიერ მოწერილ წერილიდან № 3145 დიდითა მწუხარებითა გავიგე, რომ სოფელსა შინა ტიმოშკისა არის ვინმე გლეხი, რომელიცა თავსა თვისსა კაენსა უწოდებს. ვინაიდან იგი კაენი ძმის მკვლელ იყო, უფლისაგან კრუი და დიდი შემცოდე, არც ერთს მართლმადიდებელს ქრისტიანს სახელითა ამითა ძალ არ უძს იწოდებოდეს. აღმატებულებისა თქვენის ქრისტიანული თავგამოდება და ერთგულება ფრიად საქებელ არს და სხვისთვის სამაგალითო. ამის შემდეგ თავსა ჩემსა მოვალედ ვრაცხ მივაქციო ყურადღება თქვენი მასა ზედა, რომ გვარი იმა კაენისა თქვენ არ ინებეთ შეგეტყობინებიათ, რითაც ფრიად გავვიძინელეთ ჩვენის მხრით დანიშნული ამა სამწუხარო საქმისა გამო გამოძიება“.

სტრასტიტერპინის მაზრის მეორე ოლქის ბლაღოჩინს.

„თქვენო მაღალღირსებავ, განკარგულებითა მის ყოვლად-უსამღვდელოესობისათა ამით გეცნობებთ, რომ სოფელ ტიმოშკისა შინა სცხოვრობს ვინმე გლეხი, რომელიცა, უცნობ არს ვისი დარქმევითა, თავსა თვისსა დიდი ცოდვილი კაენისა სახელსა უწოდებს. ამა კაენისა შესახებ გვევალებათ თქვენ გამოძიება მოახდინოთ და ისიც გამოარკვიოთ-ვისითა ბრალითა მომხდარ არს ესე და რატომ ამისა შესახებ თავის დროზე უწყებულ არ ვიქმენით. ყველა ესე გამოძიებულ და მოხსენებულ იქმნას უუმტირეს ხანში“.

იმ დღესვე, 16 მაისს, საღამოთი, ადგილობრივი გუბერნატორი ნაბატოვი მკირე ხნით ეწვია არქიელს საჩქარო საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

— იცოდეთ, თქვენო აღმატებულებავ, — უთხრა სხვათა შორის გამოთხოვებინას არქიელმა, — რომ ჩვენს გუბერნიაში აღმოჩნდა ვინმე კაენი.

— როგორ თუ კაენი? — ბოხი ხმით წარმოსთქვა გუბერნატორმა.

— ეს შემატყობინა, სამწუხაროდ, ბ-მა ბანკის ადგილობრივ განყოფილების გამგემ, — განაგრძო არქიელმა, — და არა სათანადო მღვდელმა ან პოლიციის კაცმა, რომელთაც ეს უნდა სცოდნოდათ.

— ოჰო! — წამოიყვირა გუბერნატორმა.



ოსმალეთის სულთანის სიძე — დამა-სალიჩ-ფაშა, რომელიც შეოქმულებთან ერთად ჩამოაზრჩვეს.

— ჩემდა გასაკვირად, ბ-ნმა გამგემ საჭიროდ არა სცნო იმა კაენის გვარი შეეტყობინებინა, ამის გამო მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, — ამოიოხრა არქიელმა.

— გამგემ, აი გერმანელმა-ლიუტერანმა? — მოუჭრა გუბერნატორმა.

— სწორედ იმან, დაუკრა კვერი არქიელმა. ამა კაენის აღმოჩენა კი არ შეიძლება საშიში არ იყვეს, მაკთუნებელი, მართლმადიდებელთათვის, რამეთუ სახელი ესე არა დარღვე-




წილ არს და დიდად შესაძლებელია, რომ ზოგიერთი სუსტნი ჩამოაცილოს ეკლესიას.

— გამოძიება პოლიციის საშუალებით! — წამოიძახა გუბერნატორმა.

აქვს, რომ იმან მეორე კაენთან ერთად, რომლის გვარი ჯერ კიდევ გამორკვირებული არ არის, მოჰკლა თავისი ძმა“.

მეორე ნაწილის ბოქაული (სახელი და გვარი).



რუმინიის სამხედრო თათბირი: 1. რუმინიის მეფე კარლსი. 2. არტილ. ლენერ.-ინსპექტორი კოანდა. 3. მთავარ-შტაბის უფროსი აფერესკო. 4. სამხ. მინისტრი გერიე. 5. ლენ.-ინსპექტორი საინჟინრო ჯარისა ბოტეანო.

— შეშლით ხელს არ შეუშლის, სასარგებლო კი იქნებოდა, — დასტური დასცა არქიელმა.

— დაუყოვნებლივ, და თუ დამნაშავეა, ჩემი გუბერნიის საზღვრებიდან გავაძევებ. ასეთი ღმერთის მგმობი ხალხი მე არა მჭირია, — ბოხი ხმით გაიძახოდა გუბერნატორი. შემდეგ გამოეთხოვა არქიელს და წავიდა. შინ დაბრუნებისას კანცელარიის მართებელს უბძანა ბანკში ტელეფონით გაეგო გვარის კაენისა და მზარის უფროსისათვის მიეწერა.

ს ა ი ლ უ მ ლ ო დ.

სტრასტიტეპინის ისპრავნიკს \*)

„გავიგე, რომ თქვენდამი რწმუნებულ მზარის, ვოლნო-მისლენის ნაწილის სოფელ ტიმოშკაში, სცხოვრობს გლეხი ვინმე კაენ პერეპელიცა. გიბძანებ დაუყოვნებლივ მოახდინო გამოძიება — საიმედოა თუ არა პოლიტიკურად და სარწმუნოებრივ ხსენებული კაენ პერეპელიცა, ან სხვა რამ გავლენას ხომ არ ახდენს სოფლებზე, აგრედვე — საიდან გამოტყვევრავს არაქრისტიანული სახელი. შედეგი მეცნობოს მე.“ გუბერნატორის საკუთარი ხელით წერილს ბოლოში ეწერა: „ცნობილია, კაენი, შვილი ადამისა, ძმა აბელისა — ძმის მკვლელი და ცოდვილია. მართლმადიდებელი ასეთი წმიდანი არავინ არის, ამიტომ ამ სახელის ტარება არავის შეუძლიან.“

ფ რ ი ა დ ს ა ი ლ უ მ ლ ო დ.

მეორე ნაწილის ბოქაულს.

„ბ. გუბერნიის უფროსმა მაცნობა, რომ თქვენი ნაწილის სოფელ ტიმოშკაში სცხოვრობს ვინმე გლეხი კაენ პერეპელიცა. გიბძანებ დაუყოვნებლივ მოახდინო გამოძიება ხსენებულ კაენ პერეპელიცას შესახებ — პოლიტიკურად კეთილ-საიმედოა თუ არა და რა გავლენას ახდენს სოფლებზე. შტუნდისტი ხომ არ არის? კაენი ძმის მკვლელი იყო და ცოდვილი, მაშ რა აქვთ საერთო ზემოხსენებულ პერეპელიცას და კაენს, რომ იმის სახელს ატარებს?! შედეგი მეცნობოს მე.“ უფროსის ხელმოწერილი.

ფ რ ი ა დ ს ა ი ლ უ მ ლ ო დ.

მესამე ნაწილის ურადნიკს \*\*)

„გიბძანებ დაუყოვნებლივ წახვიდე სოფელ ტიმოშკაში, სადაც სცხოვრობს ვინმე გლეხი კაენ პერეპელიცა და გამოძიება მოახდინო — კეთილ-საიმედოა პოლიტიკურად და სხვა მხრივ ხსენებული გლეხი თუ არა. უმაღლეს მთავრობას ექვი

\*) ისპრავნიკი — ჩვენში მზარის უფროსს უდრის.

\*\*) უფროსი საეროზო დარაჯი.

მთარგმ.

მერე ის, რა ჩაუდენია და რის ძილით უწოდებს თავსა თვისსა ნებითა თვისითა ისეთი დიდი ცოდვილის სახელს, — მიუგო ბლალოჩინმა.

— ცუდად არის საქმე, მამა მეთოდე, ეუბნებოდა ბლალოჩინი და სოფელ ტიმოშკას მღვდელის სახლის წინ ეტლიდან გადმოდიოდა. — ესე-იგი ისე ცუდად, რომ გამოთქმაც ძნელია.

— მერე, რა მოხდა ისეთი, მამა ელევთერო? — აღელდა მამა მეთოდე.

— თვით ყოვლადსამღვდელოსაგან ქალღმერთ მაცნობეს თქვენ შესახებ: უთაური და დაუდევარია მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეებში. — მიძიმედ, სიტყვას-სიტყვაზე აგრძელებდა ბლალოჩინი.

— ყოვლადსამღვდელოსაგან? — ხელი-ხელს შემოჰკრა მამა მეთოდემ. — ღმერთო, დამიფარე...

— სცხოვრობს თქვენს სამრევლოში, ვითარცა ცხვართა შორის გზა აბნეული მგელი, ვინმე კაენი. სახელი მისი კაენ არს, ხოლო გვარი არა უწყიან. ამა კაენზე მწერავს მეუფე გამოვიძიო და უუპირეს ქამსა შინა მოვახსენო, — განაგრძობდა ბლალოჩინი.

— მერე, რა ჩაიდინა ამა კაენმა, ანუ რას აბრალდებენ? — ჰკითხა მამა მეთოდემ.

— ყოვლისა უწინარეს უნდა გამოვარკვიოთ, ვინ არის ესე კაენი, და



საბერძნეთის მეფე კონსტანტინე და პირველი მინისტრი ვენიზელოსი ბრძოლის ველზე.

— დავუძახებ მნათეს, იმან უნდა იცოდეს, — გადასწყვიტა მამა მეთოდემ.

მოვიდა მნათე. იმან მოახსენა ბლალოჩინს, რომ კაენს ყველა გლეხები უძახიან ერთ შეძლებულს გლეხს — პერეპელიცას, რომ ის წყნარი, მშვიდი ადამიანია, კაი ქონების პატრონი, ხო



ლო ვინ დაარქვა ეს სახელი, არავინ იცის. დიდი ხნის წინად, როცა ჯერ ისევ ათი წლის ბიჭი იყო, შეგვედლა მოხუც პერეველიცას, შეირთო შემდეგ მისი ერთად-ერთი ქალი, მიიღო სახლი, კარი, მამული და ისევ კი დარჩა სოფელში.

გაუგზავნეს მნათე თვით პერეველიცას.

პატარა ხნის შემდეგ ბლალოჩინს წარუდგა ხელზესამთხვევად საშუალო ტანის, ჩახმული, წვერ გაბარდული, ჩვეულებრივი სახის, ტანზე სუფთად ჩაცმული გლეხი.

— სახელი? ჰკითხა ბლალოჩინმა.

— კაენ პერეველიცა, — მიუგო გლეხმა.

— ასეთი სახელი არ არის, — მრისხანედ უთხრა ბლალოჩინმა, — რამეთუ ცნობილია, კაენმა მოჰკლა აბელი, ძმა თვისი, ისინი კი ადამის შვილები იყვნენ, და იყო იგი კაენი ცოდვილი დიდი და დაწყევლილი მღვთისაგან. ამიტომ არც ერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი სახელითა მისითა არ უნდა იწოდებოდეს. წმიდა ნათლობის დროს რა დაგარქვეს?

— რა ვიცი, შენი ჰკირიმე, რა დამარქვეს. აქ, შენი ჰკირიმე, ჯერ ისევ ყმა ვიყავი, რომ მოვედი, კაენი დამარქვეს და ისე დავრჩი, მიუგო გლეხმა.

— ეგ სახეიროდ არ დაურქმევიათ, — მიუგო ბლალოჩინმა. მერე, იყავი ყოვლადსამღვდელოსთან?

— არა, შენი ჰკირიმე, თავის დღეში არა ვყოფილვარ. — გაკვირვებით უთხრა გლეხმა.

— მაშ, საიდან გაიგო შენი სახელი ყოვლადსამღვდელომ? — თავის მხრივ გაიკვირა ბლალოჩინმა.

— უეჭველია ყოვლად სახიერებითა თვისითა უფალმა ღმერთმა იგი გულთმისნად გახადა. — დაატანა მნათემ.

— ოჰო, სთქვა ამანაც სისულელე რაღა, — წარმოსთქვა მამა მეთოდემ. — პირდაპირ ვილაცა ჩემმა მტერ-მოყვარემ დამამინა და ეს არის!

— ეგ უფრო ჰკუთხე ახლოა, — დაეთანხმა ბლალოჩინი.

— ზიარებაზე დაიარები ხოლმე? — მიუბრუნდა ისევ გლეხს.

— ყოველ წელს, შენი ჰკირიმე, დიდმარხვაში.

— წადი მაშ მშვიდობით, უთხრა ბლალოჩინმა და ამის შემდეგ სახელად დაირქვი აკაკი, რომ სხვები არ შესცდნენ.

პერეველიცა და მნათე წავიდნენ. ბლალოჩინმა მოითხოვა სააღსარებო სიები. სამრევლო რაკი დიდი იყო, ამ სიებს აწარმოებდა დიაკვანი. გადასინჯეს, ნახეს რომ პერეველიცა კაენათა სწერია. დაუძახეს დიაკვანს. დიდხან სტუქსავდნენ, ამხილებდნენ დიაკვანს ბლალოჩინი და მღვდელი, დიდხანს შემდეგ მამა მეთოდემ რაღასაცა სთხოვდა ბლალოჩინს, დიდხანს ვახშობდნენ.

— არა უშავს-რა, მამა მეთოდემ, — ეუბნებოდა უკვე მეორე დილას ბლალოჩინი, როცა წასასვლელად თავის ეტლში ჯდებოდა, — ხომ იცი მეზობლები ვართ, ღმერთის მოწყალებით საქმეს როგორმე გამოვაგვარებთ.

გამოიკვია, რომ უთაურობა — დაუღვერობაში უნდა გამტყუნდეს დიაკვანი, იგია დამნაშავე, იგია ყველაფრის მიზეზი.

ბლალოჩინის წასვლის ერთი კვირის შემდეგ სოფელ ტიმოშკას ეწვია — ურიადნიკი. ის გაჩერდა სოფლის სასამართლოსთან და მამასახლისი გაგზავნა პერეველიცას მოსაყვად.

— შენა ხარ კაენ პერეველიცა? მითხარი! — მრისხანედ ჰკითხა პერეველიცას და თვალბეჭედი ჩააშტერდა.

— შენ მოჰკალი შენი ძმა? — უცებ სხაპასუხითა ჰკითხა ურიადნიკმა და მიუახლოვდა, თან თვალს-თვალში უყრდა პერეველიცას.

— ძმა... თავის დღეში არ მამიკლავს. — თავზარდაცემით წაიბურტყუნა გლეხმა.

— ოჰო, კიდევაც არა ტყდები, განა, მალამ! — დაიდრიალა ურიადნიკმა და პერეველიცას ერთი თუ ორი სახეში. პერეველიცა უნებლიედ მეორე მხარეს გადახტა.

— ძმა, შენი ჰკირიმე, თავის დღეში არა მყოლია. — ვედრების კილოთი დაიწყო გლეხმა.

— დახე, დახე ამ წყეულის შვილს! — არა სცხრებოდა ურიადნიკი. — ძმა არა მყოლიაო... გამოიგონა... უმადლესმა მთავრობამ ყველაფერი იცის... მე მატყუებს... საქმეს მიფუჭებს... მე არ მატყობინებს, ძმასა ჰკლავს და ჩემს ნაწილში კი სცხოვრობს... ურიადნიკი უფრო ღ უფრო აცივდებოდა, გლეხი კი უფრო მტკიცედ უარყოფდა დანაშაულს, რომელსაც მას აბრალებდნენ.

— დახე, მაშ შენ გინდა ჯიუტობით დამჯაბნო რაღა, — დაუყვირა კვლავ ურიადნიკმა — კარგი! ჩამაწყვდიეთ ნაობახტში, დეე, გონს მოვიდეს!..

რა ნიარად არა ფიცულობდა პერეველიცა, რომ არა თუ ძმა არ მოუკლავს, ძმა მას თავის დღეში არა მყოლია, მაინც ნაობახტში ჩააგდეს. ურიადნიკმა საქმე რაკი გაათავა, სოფლის ერთ წურბელასთან მაგრა გაძღა და მშვიდობით დაბრუნდა სახლში.

დ-ის კონსისტორიას.

„რწმუნებისა აღსასრულებლად მე წავედი სოფელ ტიმოშკას. იგი კაენი პირადად ვნახე. გვარი მისი, როგორც გამოიკვია, არს პერეველიცა. კარგი, მშვიდი მემკვიდრეა. სოფელ ტიმოშკაში სცხოვრობს ათი წლისა რომ იყო მას აქეთ, როცა მოხუცმა პერეველიცამ იგი იშვილა. შემდეგ შეირთო მამობილის ქალი. ჯვრისწერის ყველა დოკუმენტები და წიგნები დაიწვა ცეცხლში, უკანასკნელს დროს რომ ცეცხლი გაუჩნდა მღვდლის სახლს, ამიტომ ამა დოკუმენტებისა ძალით გამოკვება არაფრისა შეიძლებოდა. გამოკითხვით კი გამოიკვია, რომ სახელი იმა პერეველიცასი არს აკაკი და არა კაენი, რაცა სახელი წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიის სწავლებით სრულიადაც არ არსებობს. კაენი კი არს იმა პერეველიცას თავის სოფელის მიერვე წოდებული მეტი სახელი, რომ კარგად გაერჩიათ, რამეთუ პერეველიცები ბევრია, და სხვა მიზეზი ამისა არაა არს. დამნაშავეა ამისა ტიმოშკინის ეკლესიის დიაკვანი ნიკონ სოლანოვსკი, რამეთუ, რაკი დიდ არს სამრევლო, იგი აწარმოებდა სააღსარებო სიებს და თავისი სისულელისა გამო და გაუგებრობისა იმა პერეველიცას სწერავდა არა ნამდვილი სახელითა, არამედ მეტისახელით „კაენად“ რომლისა დიაკვნისა შესახებ ველი განკარგულებას.“

ბლალოჩინის ხელმოწერილი.

ბ. მეორე ნაწილის ბოქაულს.

მ. ხ. ს. ე. ნ. ბ.

„თქვენი კეთილშობილების ბძანებით მოვახდინე გამოძიება სოფელ ტიმოშკაში კაენ პერეველიცას მიერ თავის ძმის მოკვლის საქმის გამო. სხვა კეთილსამედობის მხრივ ხსენებული პერეველიცა სანდოა, არაფერში ყოფილა შენიშნული. ყველა სოფელელების სიტყვით იგი შეძლებულია, მშვიდი მემკვიდრეა. პოლიტიკურ კეთილ-საიმედობის მხრივ კი საეჭვოა, თითონ არაყს არა სვავს და ბევრჯერ სხვისთვისაც ურჩევია — ნუ დაღვევთო, არაყს არაფერი სარგებლობა მოაქვს, ზარალის მეტია. შემძლიან მოგახსენოთ, რომ ის, კაენ პერეველიცა, არაყს გაჰფიცვია, ამიტომ ამ მხრივ როგორ მოვიქცე — ველი თქვენი კეთილშობილების განკარგულებას. ძმის მოკვლის საქმის გამო იგი პირუთენელად იქმნა გამოკითხული, მაგრამ არაფერში გამოტყდა, პირიქით, რომცა ჩვენება — თავის დღეში ძმა არა მყოლიაო, რაცა დაამტკიცეს ყველა ჩემ მიერ დაკითხულმა სოფელელებმა. ამიტომ ჩავაგდე იგი ნაობახტში, რომ გამოტყდეს. რომ უფრო ადვილად გამოვტყნოთ, მასთან ერთად ჩავამწყვდიე თქვენი კეთილშობილების ცნობილი — ცხენის პარია განატკა კრუტი, რომელიც დამნაშავეთა გამოტყნაში დახელოვნებულია და ამ მიზნისათვის მე არა ერთხელ გამირჯია. იმედია განატკა კრუტი იმა პერეველიცას გამოსტყნს და მაშინ უმადლეს მთავრობის ეჭვი გამართლდება. ხოლო ვთხოვთ თქვენს კეთილშობილებას შემატყობინეთ ამის გასამტყუნებლად — სახელდობრ სად მოხვდა ის მკვლელობა, აგრედვე ის აქ, სოფლის ნაობახტში ვიყოლიო იგი კაენ პერეველიცა, თუ დაუყოვნებლივ, გამოტყდება თუ არა, სამაზრო ციხეში გავგზავნო.“

ურიადნიკის ხელმოწერილი.

ბ. ისპრავნიკს.

„თქვენი ბძანებისამებრ — სოფელ ტიმოშკაში გავგზავნე გამოსაძიებლად მესამე ნაწილის ურიადნიკი, რომელიც ყოველნაირ დანაშაულობის აღმოჩენაში ძალიან გამოცდილია. მის მოხსენებიდან, რომელსაც აქვე ვურთავ, აგრედვე შემიღებ პირადი მოხსენებიდანაც აღმოჩნდა: ხსენებული კაენ პერეველიცა ტომით მალოროსია, შეძლებული და უწყინარი მემკვიდრე. ყველაფერში სანდოა, გარდა პოლიტიკურ კეთილსამედობისა, რადგანაც არაყს არა სვამს თვითონ და ბოროტის განზრახვით სხვასაც უშლის, რომ ხაზინას ზარალი მოუვიდეს. ძმის მოკვლის საქმის გამო დავეკითხე. მტკიცე უარზე სდგას — არ მომიკლავსო. ამიტომ, რომ ჰკუთხა ისწავლოს, ნაობახტში ჩავაგდე, თუმცა ყველა სოფელელებმა ერთხმად აწვევენ, რომ კაენ პერეველიცას თავის დღეში ძმა არა მყოლიაო. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო-მალა-კეთილშობილებავ, საქმის გამოძიების გასაადვილებლად შემატყობინოთ — ხსენებული დანაშაულობა სახელდობრ სად მოხდა, აგრედვე — მაცნობეთ, გამოგზავნო თუ არა ხსენებული პერეველიცა სამაზრო ციხეში.“

ბოქაულის ხელმოწერა.

(დასასრული იქნება).

სან-განი-ძე.